„ვამტკიცებ“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჭადრაკის ფედერაციის
პრეზიდენტი სალომე მელია

აჭარის ჩემპიონატი ვაჯთა და ქალთა შორის

ქ. ბათუმი, 21.07. - 25.07.2021 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ტურნირის ორგანიზატორი: აჭარის ჭადრაკის ფედერაცია;

ფინანსური მხარდამჭერი: აჭარის სპორტის დეპარტამენტი;

ჩატარების ადგილი: ქ. ბათუმი, ჭადრაკის ყოფილი სასახლე ''კაისა''.

ჩატარების სისტემა: ჩემპიონატი ჩატარდება ფიდეს წესებით, შვეიცარული ან წრიული სისტემით 7 ტურად.
ტურნირში ფიდე-ს რეიტინგი არ დაითვლება.
აუცილებლობის შემთხვევაში ტურნირის ჩატარების სისტემას განსაზღვრავს ორგანიზატორ
მონაწილენი: საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრები აჭარის ყველა რაიონიდან.
სამივლინებო ხარჯებს გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.
დროის კონტროლი: თითოეულ მონაწილეს მიეცემა 30 წუთი პარტიის ბოლომდე თითოეულ
სვლაზე 30 წამის დამატებით.
თაი-ბრეიქი: თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში გამარჯვებულები
გამოვლინდებიან კოეფიციენტის შემდეგი სისტემით:

შვეიცარული ტურნირის დროს:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჰგოლცი - 1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობა;
5. მოგებების რაოდენობა.

წრიული ტურნირის დროს:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. მოგებების მეტი რაოდენობა;
3. ზონებორნ-ბერგერის კოეფიციენტი;
4. თუ ყველა მაჩვენებელი თანაბარია, ფიდეს წესების მიხედვით ჩატარდება დამატებ
მატჩები.

რეგისტრაცია:

მონაწილეებმა რეგისტრაციისთვის უნდა შეავსონ შემდეგი ანკეტა:
https://forms.gle/79tvX7JEuV7HjZsT8

საკონტაქტო ელ-ფოსტა - salomemelia.64@gmail.com ტელ: 599 069497

რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2021 წლის 21 ივლისის 20:00 საათი.

რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.

ჩემპიონატში მონაწილეობისთვის მონაწილეს გადახდილი უნდა ჰქონდეს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის 2021 წლის საწევრო (24 ლარი) შემდეგ ანგარიშზე: ს.ს.'' საქართველოს ბანკი'', მფო BAGAGE22 ანგარიშის № GE95BG 0000 000 3630 99200

ტურნირის განრიგი:

ტური	დღე	დრო
ტექნიკური შეხვედრა (ტესტირება)	21 ივლისი	17:00-დან 20:00 საათამდე
I ტური	22 ივლისი	15:00
II ტური	22 ივლისი	17:00
III ტური	23 ივლისი	14:00
IV ტური	23 ივლისი	16:00
V ტური	24 ივლისი	14:00
VI ტური	24 ივლისი	16:00
VII ტური	25 ივლისი	15:00
დახურვა	25 ივლისი	

საერთო წესები:

ტურის დაწყებიდან 15 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.

პარტიის მსვლელობისას მობილურის დარეკვის შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.

ნებისმიერ მონაწილეს უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში, რომელიც არჩეული იქნება აჭარის ჩემპიონატის გახსნის ცერემონიაზე.

მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად აჭარის ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 20 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

გამარჯვებულები:

I, II, III საპრიზო ადგილზე გასულები, როგორც ვაჟებში ასევე ქალებში, დაჯილდოვდებიან მედლებით, დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით, ხოლო ჩემპიონი აგრეთვე დაჯილდოვდება თასით.

ტურნირის ყველა მონაწილეს გადაეცემა სიმბოლური საჩუქრები.

არასაპატიო მიზეზით ტურნირის მიტოვების შემთხვევაში მონაწილე დისკვალიფიცირებული იქნება საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანების (#10. 20/01/2014 წ.) შესაბამისად.

კოვიდ 19-ის პანდემიიდან გამომდინარე, მონაწილეთა, მსაჯთა და ორგანიზატორთა ვალდებულებები რეგულირდება დანართი 1 -ით.
მონაწილეებმა უნდა წარადგინონ ''კოვიდ 19-ის'' ტესტის გაკეთების საბუთი, ან ჩაიტარონ ის 21 ივლისს 17:00-დან 20:00 საათამდე სატურნირო დარბაზთან ''კაისას'' შენობაში, რომელიც იქნება ორგანიზებული (უსასყიდლოდ) ტურნირის ორგანიზატორის მიერ.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო დიდოსტატი სალომე მელია